სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 033

ქ. თბილისი „24“ დეკემბერი 2012 წელი

ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი „თბილისის არქიტექტურის სამსახური“ (შემდგომში – შემსყიდველი), სამსახურის უფროსის – არისი ბოჭოიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „არქიტექტურული ბიურო“** წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ბალიაშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის 2012 წლის 20 სექტემბრის №936 ბრძანებით გამოცხადებული გამარტივებული შესყიდვის პირობებით (შემდგომში: „შესყიდვა“), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, 2005 წლის 20 აპრილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონით და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების, №627 საკონკურსო განაცხადის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

შესყიდვა ხორციელდება ქ. თბილისის თვითმმართველობის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შექმნილი ქ. თბილისში, მდინარე ვერეს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე, თამარაშვილის ქუჩის აღმოსავლეთით არსებული ტერიტორიის სივრცით-მოცულობითი პერსპექტიული განვითარების კონცეფცია.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია მიმწოდებლის მიერ შექმნილ ქ. თბილისში, მდინარე ვერეს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე, თამარაშვილის ქუჩის აღმოსავლეთით არსებული ტერიტორიის სივრცით-მოცულობითი პერსპექტიული განვითარებისკონცეფციაზე ყველა საავტორო და თანამდევი ქონებრივი უფლების გადაცემა (“საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლში, მე-18 მუხლის პირველ, მე-2 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული უფლებები) შემსყიდველისათვის, შემდგომი გავრცელების მიზნით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის ფორმით **(CPV 71221000).**

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში და მისი გადახდა განხორციელდება ერთჯერადად.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **5 000** (ხუთი ათასი) ლარს, თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.3 ამ ხელშეკრულებითა და გამარტივებული შესყიდვის პირობებით დადგენილი შესყიდვის თანხის გადახდა ატარებს ერთჯერად ხასიათს, რაც გულისხმობს, რომ მიმწოდებელს შესყიდვის თანხის მიღების შემდგომ შესყიდვის თანხასთან დაკავშირებით არ ექნება არანაირი პრეტენზია ან მოთხოვნა შემსყიდველის მიმართ მისთვის გადაცემული უფლებების გამოყენების მრავალჯერადობის მიუხედავად. მომავალში მესამე პირების მიერ პროექტის გამოყენების შემთხვევაში შესყიდვის თანხის მიღების უფლება გადადის შემსყიდველზე.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის გადაცემა ხორციელდება მიმწოდებლის ხარჯით.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახური”.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ შესყიდვის ობიექტის შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს და შესრულებული ესკიზური პროექტის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სამსახურის შესაბამისი სანებართვო განყოფილებების უფროსები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

6.2 თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, იგი უფლებამოსილია ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც ეცნობება მიმწოდებელს.

6.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

6.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად შემსყიდველს წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

7.3. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი, რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

7.4. „შემსყიდველი“ ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს“ ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7.5. შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი“ ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები და მოახდინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება საკუთარი ხარჯით.

7.6. თუ „მიმწოდებელი“ ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

8.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

8.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

8.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

8.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2012 წლის 31 დეკემბრისა.

8.5 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს მიწოდების ვადებს ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

9. საავტორო უფლებები

9.1 შესყიდვის ობიექტთან ერთად მიმწოდებელი შემსყიდველს გადასცემს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებებს.
9.2 “მომწოდებელი” საკონკურსო კომისიის მიერ ოქმში განსაზღვრული მიმართულებების, შენიშვნებისა და პრიორიტეტების შესაბამისად, ინარჩუნებს საავტორო უფლებას საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებაზე.
9.3. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ” ქვეპუნქტის საფუძველზე „მომწოდებელი” ნებას რთავს შესყიდვის ობიექტის გადაცემის შემდგომ „შემსყიდველს” ავტორთან შეუთანხმებლად შეიტანოს, ან ნება დართოს სხვა პირებს შეიტანონ, ცვლილებები როგორც ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში და ავტორის სახელში.
9.4 საავტორო უფლებასთან დაკავშირებულ ყველა სადავო საკითხზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 პროცენტის ოდენობით.
10.3 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით;
10.4. თუ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი არ შეესაბამება მოთხოვნას, „მიმწოდებელი“ ვალდებულია უსასყიდლოდ მოახდინოს ნაკლის გამოსწორება 6.2. და 6.3 პუნქტებით გათვალისწინებული წესით. თუ იგივე ფაქტი განმეორდება, „მიმწოდებელს“ ნაკლის გამოსწორებასთან ერთად ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 პროცენტის ოდენობით. მესამედ იგივე შემთხვევა იწვევს „მიმწოდებელის“ დაჯარიმებას ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით და „შემსყიდველს” უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და უარი განაცხადოს სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე.
10.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ.
11.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა;

11.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი გარემოებებით, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 1 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა

გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

16.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

16.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახური“
მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE95LB0125152101627000

მიმწოდებელი:

შპს „არქიტექტურული ბიურო“
დირექტორი – მიხეილ ბალიაშვილი
(საიდენტიფიკაციო კოდი:404393483)
მის: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №95

საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: სს „თიბისი ბანკი“:
საბანკო კოდი: TBCBGE22
ანგარიშის #: GE62 TB78 8623 6050 1000 01

სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ უფროსი

არისი ბოჭოიძე

შპს „არქიტექტურული ბიურო“-ს დირექტორი

მიხეილ ბალიაშვილი